

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი № 7

ქ.თელავი

28. 03. 2018წ.

თავმჯდომარეობდა: დ. გოგოშვილი

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტ. დარეჯანიშვილი, ა. შათირიშვილი; ნ. ხვისტანი; ა. მახარიაშვილი; ზ. ლილუაშვილი.

აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - ნ. აფციაური; საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - მ. ჩაფურიშვილი; საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მოწვეული სპეციალისტი - ლ. ფარსადანიშვილი; ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე - ლ. ლილუაშვილი; ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე - მ. მარკოზაშვილი; მოქალაქე - მ. მოსიაშვილი; თ. ლამაზოშვილი.

დღის წესრიგი

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის №12 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი - ნ. ხვისტანი
თანამომხსენებელი - ნ. აფციაური

მოისმინეს: ნანა ხვისტანმა აღნიშნა რომ დადგენილებაში ცვლილების შეტანის აუცილებლობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ დღეის მდგომარეობით, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის სამტატო ნუსხაში მერის წარმომადგენელს მიკუთვნებული აქვს II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის რანგი. აღნიშნულთან დაკავშირებით, საჯარო სამსახურის ბიუროდან, რომელიც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საჯარო სამსახურში ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვის მიზნით შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს, შემოსულია რეკომენდაცია, სადაც განმარტებულია, რომ მერის წარმომადგენლებისთვის განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების პასუხისმგებლობის ხარისხი და მოვალეობათა შესრულების სირთულე არ შეესაბამება „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის N215 დადგენილების დანართით აღწერილ პირველ და მეორე რანგის თანამდებობას.

აგრეთვე, დადგენილებაში განსაზღვრულია, რომ პირველ და მეორე რანგს მიეკუთვნება საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილის და მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობები, ხოლო მერის წარმომადგენელი მიეკუთვნება სამტატო ნუსხით განსაზღვრულ პოზიციას და არა სტრუქტურულ ერთეულს.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 126¹ მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, 2018 წლის 01 აპრილამდე საჯარო დაწესებულებას აქვს უფლებამოსილება, საჯარო სამსახურის ბიუროს რეკომენდაციის საფუძველზე მოახდინოს კორექტირება საჯარო დაწესებულებაში არსებული თანამდებობების იერარქიულ რანგებში განაწილებასთან დაკავშირებით.


წინამდებარე ცვლილების პროექტის თანახმად, მერის წარმომადგენელს II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის რანგის ნაცვლად ენიჭება III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტის რანგი, ხოლო თანამდებობრივი სარგო 1200 ლარის ნაცვლად განისაზღვრება 1100 ლარით.

ამასთან, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, მერის წარმომადგენლის პოზიცია სტრუქტურულად დაექვემდებარა ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენელთა საქმიანობის კოორდინაციის განყოფილებას და სამტატო ნუსხაში დაკონკრეტდა თითოეული ადმინისტრაციული ერთეული.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს აღნიშნულ ცვლილებას.

გადაწყვიტეს: დადგენილების პროექტი წარედგინოს ბიუროს სხდომას საკრებულოს სხდომაზე განხილვის მიზნით.

კომისიის თავმჯდომარე:



დ. გოგოშვილი